ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 12 733,0 ათასი ლარით, განვლილ ცხრა თვეში განხორცილებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წლიური შემოსულობები გაიზარდა 8 975,6 ათასი ლარით, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები გაიზარდა 8 356,2 ათასი ლარით და საკუთარი შემოსავლების გეგმები გაიზარდა 619,4 ათ. ლარით, მ.შ. გაიზარდა ფინანსური დახმარება 700,0 ათასი ლარით და დაზუსტდა (შემცირდა) საგზაო ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 80,6 ათასი ლარით. დღეის მდგომარეობით 2023 წლის წლიური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 21 708,6 ათასი ლარს, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 17 284,5 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა განვლილ ცხრა თვეში მიიღო სულ 14 990,2 ათასი ლარის შემოსულობები, ე.ი. მთლიანი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 86,7 %-ით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 91,6 %-ით ამასთან, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტმა მიიღო 65,4 ათასი ლარით მეტი შემოსულობები, (2022 წლის ცხრა თვეში მიღებული გვქონდა 14 924,8 ათასი ლარი.) რაც გამოწვეულია დღგ-დან და გრანტებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით.
მიმდინარე წელს 2023 წლის წლიური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 69,2%-ით. (დან. N 1)

**გადასახადებში** მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 7 984,0 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 7 115,8 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 650,0 ათასი ლარის ნაცვლად 204,2 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 890,0 ათასი ლარის ნაცვლად 588,3 ათასი ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 1,7 ათასი ლარი, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 3,9 ათასი ლარი, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი მიღებული გვაქვს 6 313,6 ათასი ლარი, გადასახადების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 89,1 %-ით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფაქტიურად მიღებული გადასახადები შემცირებულია 127,9 ათასი ლარით.

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები** ცხრა თვეში დაგეგმილი 8 283,1 ათასი ლარიდან მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 7 326,8 ათასი ლარი. დაგეგმილის 88,5%. მ. შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3 936,3 ათასი ლარი; სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან 850,0 ათასი ლარი; მაღალმთიანი დასახლებების

განვითარების ფონდიდან 60,0 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 241,2 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი - 180,0 ათასი ლარი; დელეგირებული ტრანსფერი მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის - 686,1 ათასი ლარი და სკოლების რეაბილიტაციისათვის - 153,2 ათასი ლარი. ასევე მიღებულია ფინანსური დახმარება 1 220,0 ათასი ლარი.ამასთან 2023 წლის ცხრა თვეში მიღებული გრანტები ფინანსური დახმარების ჩათვლით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 226,8 ათასი ლარით.

**სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა** განისაზღვრა 979,9 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 547,6 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 55,9 % და გასული წელთან შედარებით 23,0 ათასი ლარით ნაკლებია მიღებული. აქედან, ბანკის მიერ გადახდილი პროცენტები 37,5 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 54,9 ათასი ლარი; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი დაგეგმილი 45,0 ათასი ლარიდან მიღებულია 45,8 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან დაგეგმილი 33,7 ათასი ლარის ნაცვლად 26,9 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 3,0 ათასი ლარის ნაცვლად 2,3 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი 41,3 ათასი ლარის ნაცვლად 140,6 ათასი ლარი. ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მისაღები შემოსავლების ცხრა თვეში დაგეგმილი 819,4 ათასი ლარის ნაცვლად 235,4 ათასი ლარია მიღებული. ამასთან გასულ წელთან შედარებით ჯარიმებიდან მიღბეული შემოსავლები შემცირებულია 149,7 თასი ლარით. (2022 წლის ცხრა თვეში ჯარიმებიდან 385,1 ათასი ლარი იყო მიღებული).

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** შემოსულობები დაგეგმილი 37,5 ათასი ლარიდან ცხრა თვეში არ შემოსულა.

2023 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების 1 763,1 ათასი ლარის ნაშთიდან მიმდინარე წლის გადასახდელების დასაფარად მიმართულია 1 379, 1 ათასი ლარი მ.შ. 551,5 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 827,6 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. სხვაობა 384,0 ათასი ლარი კვლავ რჩება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთებში და წარმოადგენს მომავალი წლების საგარანტიო გასაცემელს.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის დამტიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 14 180,0 ათ. ლარი,** ბიუჯეტის დამტკიცების დროს ხარჯების დასაფინანსებლად უკვე გამოყენებული იყო მოსალოდნელი საკუთარი სახსრების ნაშთი 1 447,0 ათასი ლარი, რომელიც შემდგომში დაზუსტდა და ფაქტიურად გამოყენებული იქნა მხოლოდ 827.6 ათასი ლარი, გამოყენებული ნაშთის შევსება მოხდა ფინანსთა სამინისტროდან გამოყოფილი 700,0 ათასი ლარის ფინანსური დახმარებით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განსაზღვრულია 23 087,7 ათასი ლარით და გადასახდელების გეგმა გაზრდილია 8 907,7 ათასი

ლარით. მიმდინარე წლის ცხრა თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში შეადგენს 18 731,6 ათასი ლარს, ფაქტიურად გაწეულია 16 080,2 ათასი ლარი და გადასახდელები დაფინანსებულია 85,8 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2023 წლის ცხრა თვეში ფაქტიური გადასახდელები გაზრდილია 138,5 ათასი ლარით, გასული წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული იყო 15 941,7 ათასი ლარის ხარჯი. (დან. N 1)

**1.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** დაფინანსებულია 95,1%-ით. მ.შ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახ ხარჯებზე ცხრა თვეში დაგეგმილი 829,8 ათასი ლარიდან გაწეულია 791,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 95,4 პროცენტით; მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 2 469,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 2 349,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 95,1პროცენტით; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ დაგეგმილი 102,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 99,5 ათასი ლარი, მ.შ. 86,2 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 13,3 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი დაგეგმილი 13,0 ათ. ლარიდან ათვისებულია 8.1 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან** მერის ბრძანებით გამოყოფილია 61,8 ათასი ლარი, მათ შორის:

36,4 ათასი ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტის დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. აქედან დაზიანებული გზების გაწმენდაზე -2,8 ათასი ლარი, დაზიანებული ხიდების აღსადგენად 4,9 ათასი ლარი და სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრების მოსაწყობად - 28,7 ათასი ლარი.

25,4 ათასი ლარი მიმართულია სოციალური დაცვაზე, აქედან სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე 10,6 ათასი ლარი; ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 10,0 ათასი ლარი და სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფაზე 4,8 ათასი ლარი

ვალდებულებების მომსახურებაზე მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაურიცხა კუთვნილი სავადო გადასახდელი 38,8 ათასი ლარი, აქედან 25,5 ათასი ლარი სესხის და 13.3 ათასი ლარი პროცენტის სახით.

**2. ინფრასტრუქტურის განვითრება** 2023 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით გეგმით გათვალისწინებული 7 841,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 5 993,9 ათასი ლარით, 76,4 %-ით. აქედან:

გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად გაწეულია 4 175,9 ათასი ლარი, აქედან 4 020,5 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 155,4 ათასი ლარი საკუთარი

სახსრებით. მ. შ. მიმდინარე წლის განკარგულებებით გაწეულია 3 889,0 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2022 წლის N 2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესასრულებელ სამუშაოებზე გათვალისწინებული 4 574,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 3 425,5 ათასი ლარი; (დან. N 2 პროექტების მიმდინარეობა)

საქ. მთავრობის 2023 წლის 20/01 N 116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 33,7 ათასი ლარიდან 10,5 ათასი ლარი;

საქ. მთავრობის 2023 წლის 09/02 N 301 განკარგულებით მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 468,0 ათასი ლარიდან 453,0 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების დანარჩენი 131,5 ათასი ლარი მიმართულია წინა წლების განკარგულებების ნაშთებიდან გაცემული საგარანტიობის თანხების დასაფარად.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 244,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 220,9 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახრებით არის გაწეული.

ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 131,5 ათასი ლარიდან ცხრა თვეში გაწეულია 17,8 ათასი ლარი;

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 75,6 ათასი ლარიდან ფაქტიურად გადარიცხულია 51,1 ათასი ლარი . განვლილ ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული მიკროავტობუსები რეისებს ასრულებდნენ ექვსი მიმართულებით, აქედან ორი მიმართულება იყო სეზონური. დაბა ხარაგაული-თეთრაწყარო-კიცხი; ნადაბური-ხარაგაული; ვანი-სხლითი ხარაგაული; ვახანი-ვახანისწყალის რეისები; ხოლო სეზონურად ხარაგაული-ზვარე; ხევი-უბისის რეისები.

წყლის სისტემის განვითარებაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 196,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 69,3 ათასი ლარი მთლიანად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით. მათ შორის უშუალოდ წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად 131,2 ათასი ლარიდან გაწეულია 27,7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო სანიაღვრე არხების და მდინარეების ნაპირსამაგრების მოწყობაზე 65,2 ათასი ლარიდან 41,6 ათასი ლარი.

გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 219,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 201,0ათასი ლარი;

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 100,5 ათასი ლარის სახ. ფონდების სახსრებიდან გადარიცხულია 97,5 ათ. ლარი და 2,9 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით, რომელიც მთლიანად მოხმარდა სტიქიით დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოებს.

კეთილმოწყობაზე დაგეგმილი 234,4 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 207,5 ათასი ლარი, აღნიშნული წარმოადგენს საპილოტე პროგრამის ფარგლებში დაბაში სკვერის მოწყობაზე გაწეულ ხარჯს.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 108,8 ათასი ლარით, აღნიშნული პროგრამით ფინანსდება 58 პროექტი და ცხრა თვეში უკვე გაწეულია 950,1 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 170,2 ათასი ლარი ბიუჯეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების თანადაფინანსებით.

**დასუფთავება და გარემოს დაცვაზე ცხრა** თვეში დაგეგმილი 1 292,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 161,2 ათ. ლარი, 89,8 %. მ. შ დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე 1 112,5 ათასი ლარიდან 1 010,2 ათასი ლარი; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 166,6 ათასი ლარიდან 147,5 ათასი ლარი;

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ხარჯებში 18,0 ათასი ლარიდან 7,9 ათასი ლარი;

**3. განათლებაზე 2023 წლის ცხრა თვეში** გათვალისწინებული 2 629,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 471,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,0 %. მ.შ. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე 1 690,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 582,6 ათასი ლარი; გასულ წელთან შედარებით 372,9 ათასი ლარით მეტი. გასული წლის ცხრა თვეში 1209,7 ათასი ლარი იქნა დახარჯული.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურეობაზე 754,6 ათასი ლარიდან 686,1 ათ. ლარი;

სკოლების რეაბილიტაციაზე 168,8 ათასი ლარიდან გადარიცხულია 164,9 ათასი ლარი,აქედან 153,2 ათასი ლარი და საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 11,8 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სოფელ მოლითის საჯარო სკოლის მოედნის დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრებას და სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის შენობის მოწყობას (კარ-ფანჯრების შეცვლა)

ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე (ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურება ) გაწეულია 84,5 ათასი ლარის ხარჯი.

სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) 163,9 ათასი ათასი ლარიდან 147,6 ათასი ლარი.

**4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე** დაგეგმილი 1 615,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 562,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,7 %. და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 351,1 ათასი ლარით მეტი, 2022 წლის ექვს თვეში აღნიშნულ პრიორიტეტზე 1211,1 ათასი ლარი იქნა დახარჯული. მ. შ. სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოხმარდა 553,4 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 9,2 ათასი ლარი; სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობაზე 424,4 ათასი ლარი; სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა 119,8 ათასი ლარი, მ.შ. 84,6 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან (უბისის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოსაწყობად) და 35,2

ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით. (მ. შ. სოფელ ვერტყვიჭალაში სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოწყობილი ტრენაჟორების მოწყობა).

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 912,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 892,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,9 პროცენტით, აქედან: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 132,6 ათასი ლარი; კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობაზე 734,3 ათასი ლარი; ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე 17,1 ათასი ლარი; კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე 7,5 ათასი ლარი; მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე 66,8 ათასი ლარი; კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე 1,5 ათასი ლარი; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 40,0 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 9,0 ათასი ლარი;

**ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე** მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 1 659,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1 408,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 84,9 % - ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 73,1 ათასი ლარით მეტია გაწეული, 2022 წლის ცხრა თვეში 1 335,1 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 171,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 168,4 ათასი ლარი, მ. შ. 91,8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 76,6 ათასი ლარიმუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვაზე დახარჯულია მხოლოდ 1,6 ათასი ლარი;

**სოციალურ პრგრამებით 2023 წლის** დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 1 675,2 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული პროგრამა გაიზარდა 212,7 ათასი ლარით და განისაზღვრა 1 887,9 ათასი ლარი. მათ შორის სოციალურ პროგრამებში თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით გამოყოფილი იქნა 25,4 ათასი ლარი და 187,3 ათასი ლარი გამოყოფილი იქნა საქართველოს მთავრობის N 116 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციოდ. სულ ცხრა თვეში დაგეგმილი 1 481,4 ათასი ლარიდან ათვისებულია 1 238,2 ათასი ლარი, 83,6 %. აქედან:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 376,4 ათასი ლარიდან აღებულია 308,4 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია სრულად.

შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 59,3 ათასი ლარიდან აღებულია 51,1ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 48,7 ათასი ლარი;

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე  დაგეგმილ 219,7 ათასი ლარზე სრულად არის ვალდებულება აღებული და  ფაქტიურად დახარჯულია  216,8  ათასი ლარი;

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე დაგეგმილი 24,4  ათასი ლარიდან ვალდებულება სრულად არის აღებული და ფაქტიურად გადარიცხულია  23,0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე  33,8 ათასი ლარი  სრულად არის დავალდებულებული და დახარჯულია 25,6 ათასი ლარი;

მარტოხელა მშობლების დახმარებაზე  12,8  ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან  დახარჯულია 7,5 ათასი ლარი;

მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 22,5  ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან  22,0  ათასი ლარი;

ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე  45,0 ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან 41.1 ათასი ლარი;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 4.5  ათასი ლარი გახარჯულია სრულად.

ხანდაზმულთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 1,0 ათასი ლარიდან ფაქტიური ხარჯი არ გაწეულა.

სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე დაგეგმილი 51,5  ათასი ლარიდან აღებულია 51,3 ათასი ლარის ვალდებულება და  დახარჯულია 47,9 ათასი ლარი;

სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის  პროგრამაზე 15,0  ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან დახარჯულია  9,9 ათ. ლარი;

უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 10,0 ათასი ლარი  დახარჯულია სრულად.

ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაზე დაგეგმილი 20,0 ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან  დახარჯულია 16,0 ათასი ლარი;

გარდაცვლილი ვეტერანის ან ლტოლვილის დაკრძალვაზე  0,5  ათ. ლარი;

სტიქიური მოვლენების  შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე  ცხრა თვეში დაგეგმილი 263,6  ათასი ლარიდან  ვალდებულება აღებულია 233.8  ათას ლარზე და ფაქტიურად გაწეულია 181,8  ათასი ლარი; მათ შორის საქართველოს მთავრობის N 116 განკარგულებით 132,7 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით 49,1 ათასი ლარი, აქედან თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან  4,8 ათას ლარი.

უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე  173,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 169,0  ათასი ლარი.

საგრანტო პროექტების ხელშეწყობის  სუბსიდირებაზე  73,0  ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან გაწეულია 67,9  ათასი ლარი, აქედან ა(ა)იპ  ,,ნაბიჯი ხარაგაული“ - 59,9 ათასი ლარი;  ა(ა)იპ ,,თაირისი“-0,9 ათასი ლარი; ა(ა)იპ წითელი ჯვრის საზოგადოებას - 7,1 ათასი ლარი.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამაზე დაგეგმილი 22,5 ათასი ლარიდან აღებულია 18,0 ათასი ლარის ვალდებულება და  დახარჯულია 6,2  ათასი ლარი.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებაზე 15,0 ათასი ლარის გეგმა-ვალდებულებიდან გაწეულია  11,5  ათასი ლარის ხარჯი.